დღეს ნომერში

ქართველ მთამსვლელთა საგმირო საქმენი
მე-2 გვ.

I ადგილზეა „ბურევესტნიკის" ძიუდოისტთა გუნდი
მე-3 გვ.

პირველი სიურპრიზის ავტორი — გულკო
მე-4 გვ.

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების 43-ე საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

სურათზე: ცსკა-ს და კიევის „სტროიტელის" შეხვედრის მომენტი. ბურთი აქვს არმიელ ი. ედეშკოს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(ამ ჩემპიონატის შესახებ დაწვრილებით იხ. მე-3 გვ.).

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების IX საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

სურათზე: სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების მატჩის მომენტი. შეტევაზეა საბჭოთა ხელბურთელი ა. ფედიუკინი. მას წინ ეღობება რუმინელი გ. ლიკუ.

მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(ამ ტურნირისადმი მიძღვნილი წერილი იხ. მე-4 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 244 (5534)

1975 წ. 9 დეკემბერი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფეხბურთი ’75

პრიზი ბათუმელებმა მოიპოვეს

დამთავრდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება რესპუბლიკის II ლიგის გუნდებს შორის. ბოლო მატჩი უნდა შემდგარიყო გორში ადგილობრივ „დილასა" და მახარაძის „მერცხალს" შორის, მაგრამ მახარაძელები სათამაშოდ არ ჩავიდნენ და გამარჯვება „დილას" მიეკუთვნა.

ვეტერანის საპატიო, ტრადიციული პრიზი წილად ხვდა ბათუმის „დინამოს".

გათამაშების საბოლოო ცხრილი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." ბ.	5	4	1	0	15—5	9
„მეტალურგი"	5	4	0	1	11—6	8
„ლოკომოტივი"	5	3	0	2	8—12	6
„დილა"	5	1	2	2	8—10	4
„მერცხალი"	5	1	0	4	7—7	2
„დინ." ზ.	5	0	1	4	7—16	1

როსტოველთა ტურნე

აკრა, 6 დეკემბერი. დონის როსტოვის არმიის სპორტკლუბის ფეხბურთელთა კოლექტივმა განაძი სამი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა საუკეთესო ადგილობრივ გუნდებთან.

ქალაქ სუნიიანიში როსტოველებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს „ბრონგ-ახაფო იუნაიტედი", რომელიც წლეულს ეროვნული თასის გათამაშების ფინალში გავიდა.

ქალაქ კუმასიში ფრედ (0:0) დამთავრდა სტუმართა მატჩი ადგილობრივ გუნდთან, რომელსაც „შავი მეტეორები" ჰქვია.

მესამე თამაში როსტოველებს აკრაში ჰქონდათ, მათ ანგარიშით 3:1 სძლიეს „აკრა გრეიტ ოლიმპიკსს".

თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა

საშიქრალი ბევრია

დამთავრდა თბილისის ტექნიკუმების VIII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული კიდევ ერთი შეჯიბრება — ხელბურთში. კიროვის სახელობის პარკის სარბიელის ტრიბუნებზე დიდი ხალხმრავლობა არ იყო. თუმცა სხვებს რა ვუსაყვედუროთ, როცა თვით სპორტსმენები იყვნენ გულგრილნი.

სპარტაკიადაში 10 ტექნიკუმის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. უკონკურსოდ გამოვიდნენ თბილისის განათლების განყოფილებისა და მე-3 სამედიცინო სასწავლებლის გუნდები. ქალები ძალიან სუსტად იყვნენ მომზადებული, მოედანზე მსაჯებს ხშირად სჭირდებოდათ მითითება იმის შესახებ, თუ რომელ გუნდს უნდა მიეწოდებინა ბურთი, რაც წესების სუსტი ცოდნის შედეგია. ამას გარდა, ქალები თამაშის დროს უხეშობდნენ, უფრო სწორად, „ჭიდაობდნენ".

ზოგიერთ გუნდს საერთოდ არ ჰყოლია მწვრთნელი. ქალებიდან ყველაზე სუსტად გამოვიდნენ და ბოლო ადგილებზეც დარჩნენ კოოპერაციული ტექნიკუმის, პედაგოგიური სასწავლებლისა და ტოპოგრაფიული ტექნიკუმის გუნდები.

ვაჟები შედარებით უკეთ იყვნენ მომზადებული, თუმცა დიდ ქებას არც ისინი იმსახურებენ. ყველაზე წარუმატებლად გამოვიდნენ კოოპერაციული ტექნიკუმის, მწვრთნელთა სკოლისა და ტოპოგრაფიული ტექნიკუმის წარმომადგენლები.

სპარტაკიადის მსვლელობისას იყო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებიც. საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის ვაჟებმა მხოლოდ ორი თამაში ჩაატარეს, დანარჩენ შეხვედრებზე არ გამოცხადდნენ, რის გამოც გუნდი შეჯიბრებიდან მოიხსნა. ამავე სასწავლებლის ქალთა გუნდში იყო მოთამაშე, რომელიც საერთოდ არ სწავლობს არც ერთ ტექნიკუმში. ბუნებრივია, ეს გუნდიც მოიხსნა შეჯიბრებიდან.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრებას აკლდნენ მსაჯები. ასპარეზობის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. ვასაძე იძულებული იყო თვითონ გაეწია მათი მაგივრობა. ამ მოვალეობას ზოგჯერ თვით ტექნიკუმების მწვრთნელები ან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ასრულებდნენ. როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია.

ახლა კი გაგაცნობთ საბოლოო შედეგებს. ვაჟთა შორის გაიმარჯვა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმმა, მომდევნო ადგილებზე არიან პოლიტექნიკური, ინდუსტრიული, კავშირგაბმულობისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმების გუნდები. ქალთა შორის გაიმარჯვა მწვრთნელთა სკოლის კოლექტივმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, ინდუსტრიული და კავშირგაბმულობის ტექნიკუმების წარმომადგენლებმა.

უკონკურსოდ მონაწილე გუნდები გამოირჩეოდნენ სიძლიერითა და კარგი მომზადებით.

ნათელა ბუგიანიშვილი.

ყინულის მოედნებზე

ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებმა მოსკოვის „სპარტაკს" სალიდერო პოზიცია განუმტკიცა. სპარტაკელებმა 5 და 6 დეკემბერს დედაქალაქის სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე 4 ქულა აიღეს ლენინგრადის არმიის სპორტული კლუბის გუნდთან შეხვედრებში — ჯერ მწვავე ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 6:5 (0:1, 3:2, 3:2) სძლიეს სტუმრებს, მეორე დღეს კი იოლად მიაღწიეს წარმატებას — 7:3 (3:2, 3:0, 1:1).

6 დეკემბერს ჩელიაბინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტრაქტორი" და ნოვოსიბირსკის „სიბირი". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 8:2 (2:0, 2:1, 4:1).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
„სპარტ."	29	17	7	5	145—104	41
ცსკა	28	16	3	9	143—86	35
„დინ." მ.	27	17	1	9	124—86	35
„კრ. სოვ"	28	15	0	13	121—108	30
„ტრაქტ."	21	8	3	10	90—91	19
„დინ." რ.	19	8	1	10	63—67	17
ასკ	24	7	2	15	89—128	16
„ტორპ."	19	7	1	11	55—75	15
„ხიმიკი"	20	6	2	12	51—74	14
„სიბირი"	21	7	0	14	67—129	14

• • •

ჰელსინკი, 6 დეკემბერი. ბურთიან ჰოკეიში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და ადგილობრივი ოლს-ს შორის სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 10:2 (2:1).

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა 14 დეკემბერს გაიმართება მოსკოვში.

ძალოსნები

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის თაოსნობით მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ მონრეალში ჩატარდა ძალიან საინტერესო მატჩი ერთი მხრივ ევროპის, მეორე მხრივ კი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ნაკრებ გუნდებს შორის. თითოეულ მხარეს ორი გუნდი გამოჰყავდა. ევროპის პირველი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ სახელგანთქმული ძალოსნები ზ. სმალცეჟი (პოლონეთი), ა. კიროვი, გ. ტოდოროვი (ორივე — ბულგარეთი), პ. კოროლი (სსრ კავშირი), პ. ვენცელი (გდრ), ვ. შარიი, დ. რიგერტი (ორივე — სსრ კავშირი), ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი) და ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი). როგორც ხედავთ, ყველა ზემოთ დასახელებული სპორტსმენი ამ სამიოდე თვის წინათ მოსკოვში დამთავრებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის ოქროს ლაურეატია.

გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ ორჯერ — 6 და 7 დეკემბერს მონრეალში (ეს მატჩი წინაოლიმპიური კვირეულის პროგრამით ჩატარდა). 13 დეკემბერს მათი შეხვედრა გაიმართება აშშ-ს ქალაქ გეტისბერგში.

და აი, მონრეალიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: ზემძიმე წონის საბჭოთა ათლეტმა ალექსეევმა დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი აკვრაში, რომელიც ნოემბრის მიწურულს მას ჩამოართვა გდრ-ის ძალოსანმა გ. ბონკმა. გერმანელმა 246,5 კგ აჰკრა, რაც ნახევარი კილოგრამით მეტი იყო ალექსეევის რეკორდზე. ამჯერად ალექსეევმა 247,5 კგ აჰკრა და ახლა მის ანგარიშზეა მსოფლიოს 75 რეკორდი.

თბილისელს — სპეციალური პრიზი

ბაქოს პროფკავშირთა სპორტის სასახლეში გაიმართა ქალაქის პირადი პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მასპინძელთა (2), ტაშკენტის, თბილისის, ოდესის, დონეცკის, ვოლგოგრადისა და ერევნის გუნდები.

სავალდებულო პროგრამით ყველაზე კარგად გამოვიდა მასპინძელი, სპორტის ოსტატი ტ. ლავრენჩუკი — 18,05 ქულა. იგი უძლიერესი იყო ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობაშიც.

ცალკეულ ვარჯიშებში გაიმარჯვეს: ბურთით — ლავრენჩუკმა, ბაფთით — ო. ტიმოფეევამ (ტაშკენტი), სალტით — მისმა თანაგუნდელმა ი. ჩერნიაკმა.

კარგად იასპარეზა საქართველოს თასის გათამაშების პრიზიორმა ი. გაბაშვილმა (თბილისი), რომელსაც, ისევე როგორც ერევნელ კ. ბალუმიანს, ბაქოს საქალაქო ალმასკომის სპეციალური პრიზი გადაეცა.

ვ. უსტიუჟანინი.

ბაქო.

მოკლე ამბები

● *კალე, 6 დეკემბერი. მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, 17 წლის კიეველმა ი. დერიუგინამ მოიგო ინტერვიზიის თასი. იგი საუკეთესო იყო როგორც მრავალჭიდში (38,85 ქულა), ისე ყველა ცალკეულ ვარჯიშში. II ადგილი დაიკავა გდრ-ის წარმომადგენელმა გ. კრაუზემ (38,0), ხოლო III — ს. კოლჩევსკაიამ (ბულგარეთი) — 37,15. იუნიორთა შორის გაიმარჯვა ასევე კიეველმა სპორტსმენმა, 12 წლის ს. ვალიანიკოვამ — 18,9 ქულა.*

● **ნოვოსიბირსკი, 7 დეკემბერი.** ადგილობრივმა მოტოციკლისტმა, მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონმა ს. ტარაბანკომ ყველას აჯობა ყინულზე გამართულ ტრადიციულ მოტორბოლაში. ყინულის სპიდვეი ამჯერად 32-გრადუსიან ყინვაში მიმდინარეობდა.

● სტავროპოლი, 7 დეკემბერი. წყალში მხტომელთა აქ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში 14 სპორტსაზოგადოებისა და უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა მსოფლიო ჩემპიონს ი. კალინინას (პენზა). ამ სახეობაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლვოველმა ნ. მატკოვსკიმ. ხუთმეტრიანი კოშკიდან ხტომაში I ადგილები დაიკავეს ა. დუდინამ (სტავროპოლი) და დ. ამბარცუმიანმა (ერევანი).

● *იჟევსკი, 7 დეკემბერი. მოთხილამურეთა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება „იჟევსკის შამხანის" პრიზზე ბიატლონისტებმა დაამთავრეს 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტით. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა (ა. ელიზაროვი, ნ. კრუგლოვი, ი. ბიაკოვი, ა. ტიხონოვი) — 1:43.13. სპრინტერულ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა, გორკელმა კრუგლოვმა, რომელმაც ამ შეჯიბრებაში 20 კილომეტრზე რბოლა მოიგო, თავის ეტაპზე საუკეთესო შედეგს მიაღწია ესტაფეტაში — 25.17.*

● **ზლატოუსტი, 7 დეკემბერი.** ამ ქალაქის შემოგარენში ჩატარდა მოთხილამურეთა ტრადიციული შეჯიბრება „ბულატის" პრიზზე. ეს საპატიო ჯილდო მოიხვეჭა უკრაინის გუნდმა. 4×10 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში გაიმარჯვა ლიტვის ნაკრებმა, ხოლო 4×3 კილომეტრზე ესტაფეტაში საუკეთესონი იყვნენ უკრაინის სპორტსმენი ქალები.

● ერევანი, 7 დეკემბერი. მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა აქ მიმდინარე ტრადიციულ IX საერთაშორისო ტურნირში სიურპრიზი მოხდა: გუნდური ასპარეზობის ფინალში სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა ანგარიშით 3:2 სძლია პირველ ნაკრებს. გამარჯვებულებს გადამწყვეტი ქულა მოუტანა 18 წლის მოსკოველმა ვ. შაპირომ, რომელმაც ქვეყნის იუნიორთა ჩემპიონი, ერევნელი ბ. ბურნაზიანი დაამარცხა. მოსკოველთან ერთად წარმატება გაიყო ბათუმელმა ს. სარხოიანმა. ქალთა გუნდური შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები კოლექტივები. პირველი ნაკრების წევრები ზ. რუდნოვა (მოსკოვი) და ე. ანტონიანი (ერევანი) ბევრად სჯობდნენ მეტოქეებს და ყველა მატჩიც მოიგეს — 3:0.

დღევანდელ ნომერში მთავრდება საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრის, სპორტის ოსტატ გიორგი აბაშიძის ნაამბობი ცენტრალური პამირის მთიანეთში ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა ექსპედიციის მუშაობისა და ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ.

პამირი, 1975

● რას გვეტყვით წლევანდელი ალპინისტური სეზონის სპორტული შედეგების შესახებ?

— შეიძლებოდა ეს შეკითხვა სხვაგვარი ფორმულირებითაც ყოფილიყო დასმული: „თუკი ასეთი რთულია მოსკოვის პიკის სამხრეთი თხემი, რატომ მიეკუთვნა ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა გუნდს ალპინიზმის საკავშირო ჩემპიონატის მეორე და არა პირველი ადგილი?"... მკითხველს, ჩემი ინტერვიუდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ სწორედ ასეთი შეკითხვა აღეძრას.

პირველ ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ საკავშირო ჩემპიონატის მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედლები სპორტის ნებისმიერ სახეობაში და, კერძოდ, ალპინიზმშიც, საბჭოთა კავშირის ყოველი სპორტული კოლექტივისთვის, რა თქმა უნდა, უაღრესად საპატიოა და სასურველი. ამდენად, მკრეხელობა იქნება იმის თქმა, თითქოს ეს მაღალი ადგილი ჩვენი გუნდისთვის დასაწუნი შეიძლება იყოს (მით უფრო, რომ საკავშირო ჩემპიონატის II ადგილი საკუთრივ სიმაღლოვან კლასში ქართველმა მთამსვლელებმა უკანასკნელად ამ ორი ათეული წლის წინათ მოიპოვეს). მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, ნათქვამია და, ცხადია, არაფერია იმაში მოულოდნელი ან სათაკილო, თუკი ჩემპიონატის მონაწილე რომელიმე გუნდმა ჩვენზე რთული მარშრუტის შერჩევა და დაძლევა შეძლო.

საკავშირო პირველობის სიმაღლოვანი ასვლების კლასში I ადგილი წლეულს უზბეკეთის გუნდს მიენიჭა კორჟენევსკაიას სახელობის პიკის სამხრეთი კედლის დაძლევისთვის.

ჩვენი გუნდი საკმაოდ კარგად იცნობს ამ მარშრუტს (რამდენად კარგადაც შეიძლება იცნობდე მარშრუტს, რომელიც პირადად არ გაგივლია). როცა 1972 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალის — კომუნიზმის პიკის დალაშქვრის წინ სავარჯიშო ასვლა კორჟენევსკაიას პიკზე მოვახდინეთ, ჩვენ საგანგებოდ დავზვერეთ და შევისწავლეთ ეს მარშრუტიც, როგორც ასვლის ერთ-ერთი შესაძლო ობიექტი შემდეგი წლის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. მაგრამ 1973 წელს დასალაშქრავად ჩვენ ამ მარშრუტს კორჟენევსკაიას პიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი ვამჯობინეთ, რადგან ეს კედელი უფრო რთულად და საინტერესოდ ჩავთვალეთ (როგორც უკვე ვთქვი, ამ ასვლისთვის 1973 წლის ჩემპიონატში III ადგილი მოგვაკუთვნეს).

რაც შეეხება მოსკოვის პიკის სამხრეთ თხემს, მივიჩნიეთ, რომ იგი სირთულით აღემატება კორჟენევსკაიას პიკის ნებისმიერ მარშრუტს და ჩვენი არჩევანიც სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, ასვლის ობიექტად სწორედ კორჟენევსკაიას პიკის სამხრეთი კედელი აგვერჩია, ვინაიდან ეს მარშრუტი დასალაშქრავად მრავალმხრივ იყო ჩვენთვის მოხერხებული: ნაცნობი გახლდათ კორჟენევსკაიას პიკის რაიონი, იოლი იყო მწვერვალამდე მიღწევა (საბაზო ბანაკიდან — ვალტერის ყინვარიდან, სადაც შვეულმფრენი ჯდება, კორჟენევსკაიას პიკის ძირამდე სულ 4 საათის სავალია, სადრანის ყინვარის ბოლოდან მოსკოვის პიკამდე კი — ორი დღის მომქანცველი გზა), ნაცნობი იყო მწვერვალიდან დასაშვები გზები...

მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო და მოსკოვის პიკის სამხრეთი თხემის ნაცვლად კორჟენევსკაიას პიკის სამხრეთი კედელი გაგვევლო, ჩანს, I ადგილს მაინც არ მოგვაკუთვნებდნენ.

ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ალპინიზმის საკავშირო ფედერაციის მსაჯთა კოლეგიას მიკერძოებას ან არაკომპეტენტურობას ვწამებდე. საქმე ისაა, რომ ჩვენი გუნდისთვის II და არა I ადგილის მოკუთვნებაში გადამწყვეტი როლი ჩვენს მიერ გავლილი მარშრუტის სირთულეს არ უთამაშია (მოსკოვის პიკის სამხრეთი თხემის უკიდურესი სირთულე საყოველთაოდ იქნა აღიარებული): ალპინიზმის საკავშირო ჩემპიონატის მიხედვით, პირველობის მონაწილე ყოველი გუნდი საკონკურსო ასვლის შემდეგ ვალდებულია მსაჯთა კოლეგიას გაუგზავნოს ასვლის სრული ანგარიში, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი გუნდის მიერ გავლილი მარშრუტი. სხვა მასალებთან ერთად ამ აღწერილობას უნდა დაერთოს როგორც დაპყრობილი მწვერვალის საერთო ხედის ფოტო (გავლილი ტრასის აღნიშვნით), ასევე მარშრუტის ცალკეული მონაკვეთების დიდმასშტაბიანი ფოტოსურათები. მწვერვალის შტურმისას გადაღებული ფოტომასალა, ფაქტიურად, ერთადერთი უტყუარი დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც მსაჯთა კოლეგიას შესაძლებლობა ექმნება მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეიმუშაოს მთამსვლელთა მიერ გავლილი მარშრუტის თავისებურებათა და სირთულის ხარისხის შესახებ.

სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ უკან გზობაზე — დუშამბედან თბილისისკენ გამომგზავრებისას, ჩვენს მიერ მარშრუტზე გადაღებული ფოტოფირები, ბარგის ნაწილთან ერთად დაიკარგა და მხოლოდ იმ ფირის იმედზე დავრჩით, რომელიც შოთა მირიანაშვილს ფოტოაპარატში ჩარჩენოდა. მაგრამ აქაც არ გაგვიმართლა. გამჟღავნებისას ეს ერთადერთი ფოტოფირიც დაზიანდა და ამის შედეგად ფოტოსურათები იმდენად მდარე ხარისხისა გამოვიდა, რომ ჩვენს მიერ წარდგენილი მარშრუტის აღწერილობა ლამის საერთოდ არ მიიღეს. ფოტოსურათების და, შესაბამისად, აღწერილობის უხარისხობის გამო, ჩემპიონატის ადგილების განაწილებისას იმდენი საჯარიმო ქულა დავიმსახურეთ, რომ მოსალოდნელი 10-ის ნაცვლად (მარშრუტის შეფასება 10-ბალიანი სისტემით ხდება), მხოლოდ 9,37 ქულა მივიღეთ, I ადგილის მოსაპოვებლად კი, სულ ცოტა, 9,5 ქულა იყო საჭირო...

ასე დაგვაკარგვინა პირველობა ფოტოფირების დაკარგვამ, ამაში კი, საკუთარი თავის გარდა, ძნელია ვისიმე დადანაშაულება.

რაც შეეხება საკუთრივ მოსკოვის პიკის სამხრეთ თხემს, საყოველთაო აზრით, იგი საუკეთესოა წლეულს დაძლეულ მარშრუტთა შორის.

აი, მაგალითად, რას წერს ჩვენი გუნდის მიერ განხორციელებული ასვლის შესახებ ალპინიზმის საკავშირო ფედერაციაში გაგზავნილ წერილში ცნობილი მთამსვლელი, საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონი ალპინიზმში, მოსკოვის მთამსვლელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი ვ. ბაჟუკოვი: „ჩვენი გუნდი აკვირდებოდა მოსკოვის პიკის სამხრეთ თხემს განდოს ყინვარიდან... თხემი თოვლიან-ყინულოვან-კლდოვანია, დიდი სიგრძისა. მონაკვეთი 5500 მეტრიდან 6500 მეტრამდე უაღრესად ძლიერადაა დაჩეხილ-დანაპრალებული... მწვერვალის პლატოზე ადის ძალზე დამრეცი კედელი (300 მ) მკრთალად გამოხატული კლდოვანი წიბოებით.

ამ მონაკვეთზე ჩვენ თვალყურს ვადევნებდით ქართველ მთამსვლელთა მოძრაობას. ჩვენი აზრით, თხემის ბასტიონების ციცაბოები და თვით თხემიც ტექნიკურად ძალიან რთულია (მე-6 კატეგორიის სირთულისა) და მისი გავლა მთამსვლელთაგან უაღრესად ყურადღებიან და საიმედო დაცვას საჭიროებს.

მეტეოროლოგიური პირობები მარშრუტის გავლის დღეებში რთული იყო. ძლიერი თოვა წინა დღეებში და ასვლის დროსაც კიდევ უფრო ზრდიდა სიძნელეებს და ჯგუფისგან ტაქტიკურ სიბრძნეს და მაღალ ტექნიკურ მომზადებას მოითხოვდა.

მწვერვალის გუმბათზე მრავალია ტექნიკური თვალსაზრისით საინტერესო მონაკვეთი, მათ შორის ის გზაც სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე, რომელიც ქართველთა გუნდმა გაიარა. აქაც, დიდი თოვლისა და შედარებით სუსტი სიმკვრივის ქანების გამო, მოძრაობისას ყურადღების არაჩვეულებრივი გამახვილება იყო საჭირო.

საღრანის ყინვარის რაიონი „თეთრი ლაქაა" ალპინისტური ათვისების მხრივ. ქართველ მთამსვლელთა ექსპედიციამ, რომელმაც 1975 წელს ამ ყინვარიდან მოახდინა ასვლა მოსკოვის პიკზე, შეძლო დაეგვირგვინებინა ევგენი აბალაკოვისა და მისი მეგობრების მიერ დაწყებული საქმე.

იმ სიძნელეებთან ერთად, რომლებიც თან ახლდა ძალზე მაღალი მწვერვალის დაპყრობას, გასათვალისწინებელია მწვერვალამდე მისაღწევი გზაც — ძალიან ძნელად გადასალახავ ყინვარზე.

მოსკოვის პიკის დაპყრობა საღრანის ყინვარიდან, სამხრეთი თხემით, სერიოზული მონაპოვარია ამ საინტერესო რაიონის ალპინისტური ათვისების საქმეში, მას დიდი გეოგრაფიული მნიშვნელობა გააჩნია, რთულია ტექნიკურად და, ეჭვს გარეშეა, შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერ ასვლას".

● როგორია თქვენი გუნდის მომავლის გეგმები?

— მომავლის რეალურ გეგმებზე საუბარი ჯერ ცოტა ნაადრევია. ჩვენი ფედერაციის პრეზიდიუმი ალბათ უახლოეს ხანებში სპეციალურად იმსჯელებს ამ საკითხზე და კონკრეტულად მაშინ გადაწყდება მომავალი წლის სიმაღლოვანი ექსპედიციის როგორც სამუშაო რაიონის (პამირის მთიანეთი თუ ტიან-შანი), ისე საკონკურსო ასვლის ობიექტის საკითხიც.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს სამთო სისტემებში, ოთხ შვიდიათასმეტრიან მწვერვალს გარდა (კომუნიზმის პიკი, გამარჯვების პიკი, ლენინის პიკი, კორჟენევსკაიას პიკი), 6000 მეტრზე მაღალი არა ერთი და ორი ათეული მწვერვალია. მართალია, ამ მწვერვალებზე ალპინისტური თვალსაზრისით საინტერესო და ასასვლელად შესაძლო მარშრუტთა დიდი უმეტესობა უკვე გავლილია, მაგრამ ხვალ, ალბათ, დაძლეულ იქნება ისეთი მარშრუტებიც, რომელთა გადალახვაც დღეს შეუძლებლადაა მიჩნეული. სიმაღლოვანი ალპინიზმის სწრაფი განვითარება და ამჟამად უკვე დაძლეული ტრასები უთუოდ ამის საწინდარია.

ადრე თუ გვიან, — ვინ იცის, იქნებ უკვე გაისადაც, — ალბათ, დაპყრობილ იქნება კომუნიზმის პიკის თითქმის ვერტიკალური, 3000-მეტრიანი სამხრეთი კედელიც, მოსკოვის პიკის ასევე გრანდიოზული ყინულოვანი და კლდოვანი კედლები ჩრდილოეთიდან (ფორტამბეგის ყინვარიდან) და სამხრეთიდან (განდოს ყინვარიდან), „რუსეთის პიკის" შვეული კედელიც და სხვ.

ერთი შეხედვით, თითქოს იწურება ახალი რთულ-სიმაღლოვანი ტრავერსებისთვის ხელსაყრელი და საინტერესო მწვერვალების შერჩევის შესაძლებლობაც, მაგრამ ტიან-შანსა თუ პამირში ჯერ კიდევ შეიძლება მოინახოს ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო და უაღრესად რთული ობიექტები (მაგალითად, იმავე საღრანის ყინვარის მიდამოებში, მოსკოვის პიკიდან ოშანინის პიკამდე მდებარე მწვერვალების ტრავერსი და სხვ.).

გარდა სიმაღლოვანი ასვლებისა თუ ტრავერსებისა, გაისად ქართველმა მთამსვლელებმა შეიძლება სერიოზული კონკურენცია გაუწიონ ჩემპიონატის ტექნიკური ასვლების კლასში მოასპარეზე გუნდებსაც. წლეულს ქართველ მთამსვლელთა მიერ განხორციელებული ტექნიკური ასვლები ამ შესაძლებლობის უტყუარი დამადასტურებელია (ამ ასვლათა შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ახალი ურთულესი მარშრუტი სამხრეთ უშბაზე, რომელიც ალპინისტურ ბანაკ „აილამას" მთამსვლელ-ინსტრუქტორთა ჯგუფმა დაძლია ცნობილი მთამსვლელის, სპორტის ოსტატ შალვა მარგიანის ხელმძღვანელობით, და უმაღლესი, მე-6 კატეგორიის სიძნელის მარშრუტი მწვერვალ ბოდხანკზე, რომელიც მთამსვლელთა ჯგუფმა სპორტის ოსტატ გივი ქართველიშვილის მეთაურობით გაიარა). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაისად ქართველი მთამსვლელები ალპინიზმის საკავშირო ჩემპიონატის ტექნიკურ კლასშიც იტყვიან თავის სიტყვას.

ხოლო იმ მთამსვლელთა სანუგეშოდ, რომელნიც შეშფოთებული არიან, რომ მალე, ალბათ, საერთოდ აღარ დარჩება აღარც დაუპყრობი მწვერვალები და აღარც მწვერვალების გაუვლელი გზები, მინდა გავიხსენო ინდოეთის საამაყო შვილის ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვები: ...„თუნდაც ევერესტის დაპყრობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს, ყოველთვის მოიძებნებიან უფრო მაღალი ევერესტები. თუნდაც, შორეულ მომავალში, ჩვენი პლანეტა საიდუმლოებათაგან დაცლილ ადგილად იქცეს, ყოველთვის მოინახება სხვა მწვერვალები დასაპყრობად და სხვა სამყაროები შესასწავლად.

ის, ვინც უშიშრად გაეშურება ადამიანის მისწრაფებათა ჯერ შეუცნობი ზღვებისა და დაუძლეველი მწვერვალებისკენ, მუდამ პოვებს საინტერესო თავგადასავალს გონებისა თუ სხეულისთვის".

დასასრული. იხ. „ლელო" №№ 238, 239, 240, 241.

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის პიკის კლდოვან ბასტიონზე.

პირველი პლენუმი

ამ დღეებში შედგა თბილისის ტურისტული კლუბის ტურიზმის სექციის პირველი პლენუმი.

პლენუმი გახსნა და შესავალი სიტყვით გამოვიდა თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი შ. კუპატაძე.

ტურიზმის ცალკეული სახეობების მდგომარეობის, მათი განვითარების პერსპექტივებისა და ქალაქის სექციის ამოცანების შესახებ ილაპარაკა ტურისტული კლუბის სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ვიახირევმა.

კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადების, გასაქირავებელი ტურისტული აღჭურვილობის ხარისხისა და, საერთოდ, აღჭურვილობის შეძენის პრობლემის შესახებ. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სათხილამურო ტურიზმის სექციის მუშაობის განახლების, სათხილამურო მოგზაურობათა გამოცოცხლების და სპორტული ორიენტირების სექციის მუშაობის საკითხებზე.

ითქვა, რომ ტურისტულ კლუბს, მასთან არსებულ საზოგადოებრივ კომისიებსა და სექციებს ნორმალური მუშაობისთვის არ ჰყოფნით ორი პატარა ოთახი.

დასასრულს პლენუმმა ჩამოაყალიბა ქალაქის სექციები სამთო ტურიზმში (თავმჯდომარე ი. სახელაშვილი), ქვეით ტურიზმში (მ. თევზაძე), რომელშიც შევიდა სათხილამურო ტურიზმი (ვ. როდიონოვი) და სპორტული ორიენტირების (ვ. ლაბიგინი) ქვესექციები, აგრეთვე, ავტო-მოტოტურიზმში (ბ. ნუცუბიძე).

რამდენიმე სტრიქონით

✦ კასპი

ინდუსტრიული ტექნიკუმის მოჭადრაკეთა პირველობაში 10 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა შ. ჯაბაურმა.

• • •

რაიონის მოჭადრაკეთა გუნდურ შეჯიბრებაში ქალთა შორის გაიმარჯვა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" გუნდმა. II ადგილზეა კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, III — ცემენტის ქარხნის გუნდი. ვაჟთა შორის პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: 1. ცემენტის ქარხანა, 2. ქვემო ჭალის კოლმეურნეობა, 3. კავთისხევის საბჭოთა მეურნეობა.

• • •

ჩატარდა ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი ქალთა I სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა შემდეგი სახეობები: ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, ჭადრაკი და შაში. ჩემპიონობა მოიპოვა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" გუნდმა. II ადგილი ცემენტის ქარხნის ნაკრებს ერგო, III — რაიკოოპერატივის კოლექტივს.

ლ. ელისაბედაშვილი.

✦ ზუგდიდი

აქ გაიმართა ზუგდიდისა და ცხაკაიას ბავშვთა სპორტსკოლების ნორჩ მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. თითოეულ გუნდში 16 ჭაბუკი და 6 გოგონა იყო. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 17,5:4,5. წლის ბოლოს მეტოქენი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ცხაკაიაში.

ა. ფიფია.

✦ ჩოხატაური

პიონერთა სახლის ჭადრაკის წრის აღსაზრდელმა ჭაბუკებმა თავიანთი პირველობა გამართეს. 11 ნორჩს შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლემ ა. ბერძენიშვილმა — 9 ქულა.

დ. გურგენიძე.

რამდენიმე სტრიქონით

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის ჩემპიონატი

ლიდერი და კოლექტივი

ლიდერი კალათბურთში ისეთივე განსაკუთრებული ფიგურაა, როგორიც სპორტის სხვა, ნებისმიერ სახეობაში. ლიდერი გუნდის ტვინია, მისი წარმმართველი ძალა, ყველა შეტევის დამწყები და დამაგვირგვინებელი. ლიდერს უსათუოდ უნდა ჰქონდეს კოლექტივზე ზემოქმედების უნარი. სწორედ ეს თვისება უქმნის მას განსაკუთრებულ ავტორიტეტს, რომელსაც ყველა უსიტყვოდ ემორჩილება თამაშის პროცესში.

თავისთავად ცხადია, ლიდერის როლს ყველა ერთნაირად ვერ შეასრულებს. არც არის საჭირო გუნდში რამდენიმე ლიდერი იყოს. კოლექტივის ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებული ლიდერი თამაშის ორგანიზაციული ერთმმართველობის თავისებური ფორმაა, რომელიც ყველაზე ახლოს დგას იდეალთან.

აი, რამდენიმე მაგალითი: ცსკა-ს და კიევის „სტროიტელის" შეხვედრაში არმიელებმა პირველი ტაიმის მიწურულისათვის შესამჩნევ უპირატესობას მიაღწიეს (18 ქულა). ცსკა-ს მწვრთნელმა ჩათვალა, რომ საქმე უკვე გაკეთებული იყო და რამდენიმე მოთამაშეს, მათ შორის ს. ბელოვს, დასვენების საშუალება მისცა. მაგრამ კალათბურთში მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება. არმიელებმა სულ რამდენიმე წუთში ზედიზედ 5 ბურთი დაკარგეს და სხვაობა 8 ქულამდე შემცირდა. მწვრთნელი იძულებული გახდა შეეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება: მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა და მოსალოდნელი იყო მატჩის ჩარხის შემობრუნება.

აი, სწორედ ამ მომენტში ერთხელ კიდევ იჩინა თავი არმიელთა ლიდერის ს. ბელოვის ორგანიზატორულმა ნიჭმა. მან თავისი პირადი მაგალითით აიყოლია გუნდი მძიმე ბრძოლაში და სულ რამდენიმე წუთში აღდგა სტატუსკვო. ბელოვი უნივერსალური ტიპის ლიდერია.

არსებობს ლიდერის სხვა ნაირსახეობაც, ეგრეთ წოდებული ლიდერი-სოლისტი. მისი საშემსრულებლო ოსტატობა შესაძლოა უფრო ეფექტურადაც გვეჩვენოს, მაგრამ იგი აშკარად გამოყოფილია კოლექტივს. თვითონ ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ პარტნიორებთან ისეთ კავშირს ვერ ამყარებს, როგორსაც ლიდერი-უნივერსალი. ალბათ მიხვდებით, მხედველობაში გვყავს ტარტუს „კალევის" მოთამაშე ტამისტე. თბილისის დინამოელებთან მატჩში მას ყველაფერი გამოსდიოდა და როლში შესული ვერც კი ამჩნევდა, რომ მის ჩრდილში მყოფ პარტნიორებს ერთგვარად შებოჭილი ჰქონდათ ხელ-ფეხი.

ტამისტემ 41 ქულა დააგროვა ამ მატჩში, გააცვიფრა ყველა უნაკლო სროლით, მაგრამ გუნდი წაგებას მაინც ვერ გადაარჩინა. იმიტომ, რომ ტამისტე-ლიდერი უფრო ინდივიდუალისტია. ბელოვთან მისი შედარება ამ ნიშნითაც არ შეიძლება.

დაბოლოს, არსებობს კიდევ ერთი ლიდერი, თავისებური ხალიფა ერთი დღით. ამ ტიპის ლიდერს, მის სახეს ერთგვარი დაკონკრეტება სჭირდება. როცა გუნდში არის რამდენიმე პოტენციური ლიდერი, კოლექტივი უპირატესობას ანიჭებს იმას, ვისაც უფრო მეტად გამოსდის თამაში ამ დღეს, ამ მატჩში, ან, თუ გნებავთ, მხოლოდ ერთ ნახევარში. ასეთ ლიდერს თვით გუნდი ირჩევს, მას აძლევს თამაშის სადავეებს, ხელს უწყობს და ბოლომდე მიჰყვება.

თბილისის „დინამომ" სვერდლოვსკის „ურალმაშთან" შეხვედრაში ეს როლი ბიჭიაშვილს მიანდო, ხოლო ტარტუს „კალევთან" მატჩში — ჯერ ჩიხლაძეს, მერე კი პულავსკის. სამივე ლიდერმა გაამართლა ნდობა, სამივემ გუნდთან ერთად თანაბრად გაინაწილა გამარჯვების სიხარული.

ლიდერის რომელი ტიპია, ბოლოს და ბოლოს, ყველაზე სრულყოფილი და გამოსადეგი? ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია. ყველაფერი კოლექტივის ხასიათზე, მის შინაგან ბუნებაზეა დამოკიდებული. ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლიდერის ის ტიპია ყველაზე მეტად სრულყოფილი, რომელსაც მეტი სარგებლობა მოაქვს კოლექტივისთვის.

იქნებ ტამისტეს ტიპის ლიდერი არც გამოდგეს ჩვენს გუნდში, ვინაიდან „დინამოს" მეტი ლტოლვა აქვს კოლექტივიზმისკენ. სხვათა შორის, ეს ლტოლვა ყველაზე უკეთ სწორედ გუშინწინდელ მატჩში გამოვლინდა, სადაც ერთნაირად საიმედოდ და სასარგებლოდ თამაშობდა ყველა, ახალბედაც და ვეტერანიც.

უდავოდ სწორი კურსი აქვთ აღებული თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელებს, როცა ახალგაზრდებსაც ანდობენ ძნელი მატჩის ბედს. დერიუგინმაც და მაღალთაძემაც ბრწყინვალედ გაართვეს თავი ძნელ ამოცანას „კალევთან" შეხვედრაში და საკმაოდ თამამადაც ითამაშეს. კარგი იქნება, თუ თვით კალათბურთელებიც მეტ ნდობას გამოიჩენენ ახალგაზრდების მიმართ და წაახალისებენ უმძიმეს წუთებში.

საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი ფინიშის სწორზე გავიდა. რა შეიძლება ითქვას განვლილი მატჩების შესახებ? როგორც მუდამ, ახლაც ძლიერად თამაშობს ცსკა — ტურისა და ალბათ ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი. ძლიერი სასტარტო შემადგენლობა და „გრძელი სკამი", რომელშიც ძნელი გასარჩევია, სად თავდება ძირითადი ხუთეული და სად იწყება სათადარიგო შემადგენლობა, ამ კოლექტივს საშუალებას აძლევს იმედის თვალით უყუროს მომავალს. ცსკა-ს ერთი კონკრეტული მიზანი ამოძრავებს: დაიბრუნოს ლენინგრადის „სპარტაკთან" ბრძოლაში დაკარგული ტიტული და სწორი გზით მიდის ამ მიზნისკენ.

თბილისის „დინამომ" ორი უფერული თამაშის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მიაგნო თავის თავს და ესტონელებთან შეხვედრაში ძველი ძლიერებით გაიელვა. სასტარტო მღელვარების პერიოდი დამთავრდა. ახლა მთავარია „დინამომ" მთელი ძალით აამოქმედოს თავისი საბრძოლო პოტენციალი. ჩემპიონატის კალენდარი მას ამის საშუალებას აძლევს.

დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში არიან ესტონეთისა და კიევის კალათბურთელები, მაგრამ „კალევის" პოზიცია რამდენადმე უფრო პერსპექტიულია. მან, ჯერ ერთი, ავად თუ კარგად უკვე მოამთავრა საქმე ფავორიტებთან (უკრაინელებს სათამაშო დარჩათ ტურის მასპინძლებთან) და მეორეც, პირადი შეხვედრა „სტროიტელთან" მოგებული აქვს.

საინტერესოდ მიმდინარეობს ბრძოლა აუტსაიდერთა შორის. მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა, ჩვენი აზრით, აქაც უკვე ნათქვამია. რიგის არმიელებმა დაამარცხეს სვერდლოვსკის „ურალმაში" და ამით პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულეს.

ტექნიკური შედეგები

7 დეკემბერი. ასკ (რიგა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 82:74 (42:36), ცსკა — „სტროიტელი" (კიევი) 88:69 (40:33), „დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 87:79 (46:44).

ნ. ზუზუშვილი.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 9 დეკემბრისთვის

თბილისის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	3	3	0	292—207	3
„დინამო" (თბ.)	3	3	0	227—213	3
„კალევი" (ტ.)	3	1	2	204—249	1
„სტროიტ." (კ.)	3	1	2	219—216	1
ასკ (რ.)	3	1	2	232—252	1
„ურალმაში" (ს.)	3	0	3	199—236	0

კაუნასის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირ." (კ.)	3	2	1	250—233	2
„სტატიბა" (ვ.)	3	2	1	242—219	2
„სპარტაკი" (ლ.)	3	2	1	211—202	2
„დინამო" (მ.)	3	2	1	235—217	2
რტი (მ.)	3	1	2	230—263	1
ფისკ (ე.)	3	0	3	229—263	0

სურათებზე: ზევით — თბილისის „დინამოს" ახალგაზრდა კალათბურთელი ნ. დერიუგინი უტევს ესტონელთა კალათს; ქვევით — სვერდლოვსკის „ურალმაშისა" და რიგის არმიელთა შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ოთხხელისუფლებიანობა

კაუნასი, 8 დეკემბერი. დღეს საკავშირო ჩემპიონატში აქაც დასვენების დღეა. უკვე გათამაშდა სამი ტური, მაგრამ ცხრილში მანამდე უნახავი ოთხხელისუფლებიანობაა. სსრ კავშირის ჩემპიონს — ლენინგრადის „სპარტაკს", მოსკოვის „დინამოს", კაუნასის „ჟალგირისსა" და ვილნიუსის „სტატიბას" 2-2 ქულა აქვთ. ვის უნდა მიენიჭოს ამ ოთხეულში უპირატესობა? ამ ფაქტის დადგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ არითმეტიკული ოპერაციების ჩატარებით.

ოთხივე მეტოქემ უკვე გაარკვია ერთმანეთში საქმე. ურთიერთშეხვედრებში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს „ჟალგირისს" (+4). იგი ლიდერია, შემდეგ მოდიან „სტატიბა" (+1), „სპარტაკი" (—1) და „დინამო" (—4).

III ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო ლენინგრადის „სპარტაკისა" და მოსკოვის „დინამოს" მატჩი. პირველი ტაიმი დინამოელებმა ქულით მოიგეს (36:35). ისინი ერთგვარ უპირატესობას ინარჩუნებდნენ შესვენების შემდეგაც, მაგრამ ბრძოლის ბედი ფაქტიურად მატჩის მიწურულს გადაწყდა. „დინამომ" იგი კარგად ჩაატარა და ჩემპიონს პირველი მარცხი აგემა — 67:62.

სპეციალისტები ლენინგრადელთა შორის გამოყოფენ ახალგაზრდა სილანტიევისა და არზამასკოვის კარგ თამაშს. ამავე დროს, ისინი აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ა. ბელოვი კარგ ფორმაში არ არის. შესვენებამდე მან მხოლოდ 2 ქულა მოუტანა კოლექტივს.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს: 6 დეკემბერი. „სტატიბა" (ვილნიუსი) — რტი (მინსკი) 83:61 (44:46), „დინამო" (მოსკოვი) — ფისკ (ერევანი) 98:76 (49:33), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 73:69 (39:32). 7 დეკემბერი. რტი — ფისკ 89:87 (44:38), „ჟალგირისი" — „სტატიბა" 88:80 (44:52).

ეძღვნება სკკპ XXV ყრილობას

საქართველოს პროფკავშირების სპარტაკიადა

თერთმეტი შეხვედრა აშკარა უპირატესობით

იმის გამო, რომ „ვოდნიკი" ძიუდოში სასპარეზოდ არ გამოცხადდა, ხოლო „ლოკომოტივი", „კოლმეურნე" და „შრომითი რეზერვები" არასრული გუნდებით გამოვიდნენ, თბილისის „ლოკომოტივის" დარბაზის ტატამზე გამარჯვების მოსაპოვებლად სულ 25 კაცი იბრძოდა. ყოველ წონითს კატეგორიაში 4-5 სპორტსმენი გამოდიოდა (მხოლოდ მძიმე წონაში მოიყარა თავი ექვსმა მოჭიდავემ). ამიტომაც სამ შეხვედრაზე მეტი არც ერთ მონაწილეს არ ჩაუტარებია, ზოგი კი ხალიჩაზე ორჯერ გამოსვლით დაკმაყოფილდა. მაგალითად, 63 კგ წონითს კატეგორიაში სპორტის ოსტატობის კანდიდატმა დ. ფიცხელაურმა („ბურევესტნიკი") ჯერ პირველთანრიგოსანი ვ. ბალხამიშვილი („განთიადი") დაამარცხა, ხოლო შემდეგ ფინალში შეხვდა ოსტატობის კანდიდატ ვ. კახურაშვილს („სპარტაკი"), რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე პირველთანრიგოსან ვ. არჩვაძესთან („შრომითი რეზერვები") გამარჯვებით მიაღწია.

ძალები ხშირად აშკარად უთანაბრო იყო, რასაც ისიც ადასტურებს, რომ თერთმეტი შეხვედრა ერთ-ერთი მეტოქის დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა ანგარიშით 10:0. 80 კგ წონითს კატეგორიაში სპორტის ოსტატმა ი. სიდამონიძემ („განთიადი") სამი შეხვედრა გამართა და ყველა ერთნაირი ანგარიშით (10:0) მოიგო. მან ჯერ სპარტაკელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი თ. ხუციშვილი დაამარცხა, მერე პირველთანრიგოსანი პ. თოიძე („შრომითი რეზერვები"), ფინალში კი ოსტატობის კანდიდატ მ. ბროძელს („ბურევესტნიკი") მოუგო.

გაცილებით საინტერესოდ ჩატარდა 93 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შეჯიბრება, სადაც გამოდიოდა სამი სპორტის ოსტატი, თითო ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

პრიზიორები:

63 კგ. დ. ფიცხელაური („ბურევესტნიკი"), ვ. კახურაშვილი („სპარტაკი"), ვ. ბალხამიშვილი („განთიადი") და ვ. არჩვაძე („შრომითი რეზერვები").

70 კგ. ტ. ცინცაძე („სპარტაკი"), ჭ. ბუჯიაშვილი („განთიადი"), ქ. ქავთარაძე („კოლმეურნე") და ზ. კეთილაძე („ბურევესტნიკი").

80 კგ. ი. სიდამონიძე („განთიადი"), მ. ბროძელი („ბურევესტნიკი"), პ. თოიძე („შრომითი რეზერვები") და ჯ. ჯიქური („კოლმეურნე").

93 კგ. გ. დამადაევი („სპარტაკი"), ჯ. კბილაშვილი („ბურევესტნიკი"), დ. ბერბიჭაშვილი („კოლმეურნე") და გ. ბაგაშვილი („განთიადი").

93 კგ-ს ზევით. თ. ბედოევი („სპარტაკი"), რ. დვალი („ბურევესტნიკი"), თ. მაჩაიძე („განთიადი") და ვ. გუმაშვილი („კოლმეურნე").

გუნდური შედეგები. „ბურევესტნიკი" — 30,5 ქულა, „სპარტაკი" — 29, „განთიადი" — 26,5, „კოლმეურნე" — 18, „შრომითი რეზერვები" — 12, „ლოკომოტივი" — 9.

რ. მაღრაძე.

ნასტასეს წარმატება

სტოკჰოლმი, 7 დეკემბერი. ცნობილმა რუმინელმა ჩოგბურთელმა, 29 წლის ილიე ნასტასემ მეოთხედ მოიხვეჭა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონის წოდება დახურულ შენობებში თამაშში, როცა შვეციის დედაქალაქში გამართული შეჯიბრების ფინალში ანგარიშით 6:2, 6:2, 6:1 დაამარცხა 19 წლის შვედი ბიორნ ბორგი.

ამგვარი ტურნირი, რომელშიც 8 უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობს, მეხუთედ ჩატარდა. ნასტასემ მხოლოდ შარშან წააგო ფინალური შეხვედრა არგენტინელ გილერმო ვილასთან. ამჯერად იგი ვილასს საკმაოდ იოლად გაუსწორდა ნახევარფინალში — — 6:0, 6:3, 6:4.

ღრმავდება სპორტული თანამშრომლობა

ბაღდადი, 6 დეკემბერი. (საქდესი). აქ ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის სპორტული თანამშრომლობის შესახებ 1976-77 წლებისთვის.

შეთანხმება ითვალისწინებს სპორტული დელეგაციების გაცვლა-გამოცვლას, ამხანაგურ შეხვედრებს ფრენბურთში, ფეხბურთში, კალათბურთსა და სხვა სახეობებში, საბჭოთა მწვრთნელების მუშაობას ერაყში.

გამოცდილების გაზიარება

ტუნისი, 6 დეკემბერი. (საქდესი). საბჭოთა ძალოსანთა ჯგუფი სტუმრად იყო ტუნისის რესპუბლიკაში. ტუნისში, სფაქსში, სუსში და სხვა ქალაქებში მოეწყო მათი საჩვენებელი გამოსვლები.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, რსფსრ-ს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. მოროზმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა ძალოსნობის საბჭოური სკოლის მაღალი რეპუტაცია ტუნისში და ამ ქვეყნის სპორტის მესვეურთა მისწრაფება მისი უმდიდრესი გამოცდილების გამოყენებისკენ.

— საბჭოთა დელეგაციის წევრებმა, — განაგრძო მან, — მონაწილეობა მიიღეს ძალოსნობის საკითხებზე მოწყობილ სემინარებში, წაიკითხეს ლექციების კურსი ტუნისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. მოეწყო საბჭოთა და ტუნისელ სპორტსმენთა ერთობლივი საწვრთნელი მეცადინეობები.

ხელოვნურ ბალახზე

ისეთ მოედანზე, როგორიც 5-7 დეკემბერს მოსკოვში, სპორტული თამაშების სასახლე „სპარტაკში" იყო მათს განკარგულებაში, საბჭოთა ჰოკეისტები ზაფხულშიც კი ვერ ოცნებობდნენ, როცა ბალახიან მინდვრებზე ასპარეზობდნენ. აქ ჩატარდა ბალახის ჰოკეის ისტორიაში პირველი ტურნირი დიდ, დახურულ დარბაზში. გაიმარჯვა ანდიჟანის „მეხნატმა".

„ასტროტურფის" ხელოვნურსაფარიანი მწვანე მინდვრები, რომლებიც ნამდვილი ბალახის იმიტაციაა (ასეთ სარბიელზე მოეწყობა მონრეალში ოლიმპიური ტურნირი), არის ჩრდილოეთ ამერიკაშიც, ოღონდ მოსკოვის ბაზა დახურულია. თანაც, „სპარტაკის" სასახლეში მოედანი მსოფლიო სტანდარტისაა — 95×55 მეტრი.

პირველ საკავშირო ტურნირში გაიმარჯვა ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა გუნდმა („მეხნატის" მოთამაშეები 19 წელზე მეტისა არ არიან), რომელმაც 6-დან 5 ქულა მოაგროვა (ბურთების სხვაობაა 4—0). ამდენივე ქულა აქვს ერევნის ფისკ-ს, მაგრამ სომეხ სპორტსმენებს ნაკლები ბურთი აქვთ გატანილი და მეტი — მიღებული (3—1). 2 ქულით III ადგილზეა ბაქოს „ბურევესტნიკი".

ტურნირი ტრადიციული იქნება და, როგორც ჩანს, უკვე გაისიდან საერთაშორისო გახდება.

ვ. პიმენოვი.
(საქდესის კორ.)

მოსკოვი.

ხელბურთი

საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

2 ქულა აღებული

თბილისი. სპორტის სასახლე. 6 დეკემბერი.

პოლონეთი — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 24:20 (11:10).

პოლონეთი: კლემპელი (გაიტანა 8 გოლი), კაუნიშსკი (5), მელცერი (3), კუხტა (3), სოკოლოვსკი (2), კულეჩკა (1), ანტაავი (1), ნოვაკი (1), როზმიარეკი, ვოიტჩაკი, პშებიში, გვუშჩი, ჯოზოვეკი.

სსრ კავშირი: დრაჩოვი (5), პლოხოტინი (4), გულბისი (4), ლოსოვიკი (3), ჟუკი (2), სოლდატოვი (1), მარუსენკო (1), პლუიკო, კოჩერგინი, ჩერნიაევი, კულევი, ხრიპოვი.

მსაჯები: მ. გროსენბაჰერი, გ. კურტი (ორივე — შვეიცარია).

• • •

საქართველო — სსრ კავშირი 14:25 (8:13).

საქართველო: ანპილოგოვი (3), ბერიაშვილი (2), ტაბიძე (2), დვალიშვილი (2), ი. ნარიმანიძე (2), ჭყონია (1), გ. ნარიმანიძე (1), ნავროზაშვილი (1), კომახიძე, დოლიძე, ბუნაძე, კალანდაძე, გაფრინდაშვილი.

სსრ კავშირი: მაქსიმოვი (11), კიდიაევი (8), ლაგუტინი (2), ჩერნიშოვი (2), ფედიუკინი (1), რეზანოვი (1), იშჩენკო, ტომინი, მაზელიაუსკასი, ჩიკუნი, ილინი, კლიმოვი, კრავცოვი, კუშნირუკი.

მსაჯები: ჯ. აბშილავა, ჯ. ძაგანია (ორივე — სსრ კავშირი).

• • •

იუგოსლავია — რუმინეთი 29:24 (14:13).

იუგოსლავია: პავიჩევიჩი (10), ხორვატი (7), მილიაკი (5), სერდარუშიჩი (3), რადენოვიჩი (1), ფეიზულა (1), პოკრასიაუ (1), ბოიოვიჩი (1), ნიმში, ტიმკო, კარალიჩი, ლაკიჩი.

რუმინეთი: ბირტალანი (8), კოსმა (5), შტეფი (4), ლიკუ (3), გაცუ (2), დროვონიცა (1), კიჩიდი (1), ორბანი, პენუ, ტუდოსიო, ვოინა, გრაბოვსკი.

მსაჯები: გ. კრუტილევი, მ. ანდერსენი (ორივე — ფინეთი).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 დეკემბერი.

პოლონეთი — იუგოსლავია 24:26 (15:11).

პოლონეთი: კლემპელი (12), კაუნიშსკი (4), მელცერი (4), პშებიში (1), ანტაავი (1), ჯოზოვეკი (1), სოკოლოვსკი (1), როზმიარეკი, შემჩაგი, გვუშჩი, კუხტა, ნოვაკი.

იუგოსლავია: პავიჩევიჩი (6), მილიაკი (6), ხორვატი (4), პოკრასიაუ (4), სერდარუშიჩი (3), პრიბანიჩი (1), ტიმკო (1), ბოიოვიჩი (1), ნიმში, ფეიზულა, კარალიჩი.

მსაჯები: გ. კრუტილევი, მ. ანდერსენი (ორივე — ფინეთი).

• • •

საქართველო — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 28:27 (16:18).

საქართველო: ანპილოგოვი (7), ბერიაშვილი (7), დვალიშვილი (6), გ. ნარიმანიძე (3), ტაბიძე (2), დოლიძე (2), ნავროზაშვილი (1), კომახიძე, ბარამიძე, ი. ნარიმანიძე, ჭყონია, გაფრინდაშვილი.

სსრ კავშირი: დრაჩოვი (7), კოლოტოვი (7), პლოხოტინი (6), მარუსენკო (4), ჟუკი (2), კულევი (1), პლუიკო, ხრიპოვი, სოლდატოვი.

მსაჯები: ჯ. აბშილავა. ჯ. ძაგანია (ორივე — სსრ კავშირი).

• • •

სსრ კავშირი — რუმინეთი 23:20 (12:8).

სსრ კავშირი: მაქსიმოვი (8), ჩერნიშოვი (8), კიდიაევი (4), ფედიუკინი (2), ჩიკუნი (1), იშჩენკო, ტომინი, კრავცოვი, კლიმოვი, ლაგუტინი, ილინი, რეზანოვი.

რუმინეთი: ბირტალანი (7), კოსმა (3), გრაბოვსკი (3), ვოინა (2), კიჩიდი (2), დროვონიცა (1), ლიკუ (1), შტეფი (1), პენუ, ორბანი, ტუდოსიო, გაცუ.

მსაჯები: მ. გროსენბაჰერი, გ. კურტი (ორივე — შვეიცარია).

• • •

დასრულდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას" გარდამავალ პრიზზე. ხელბურთის ურიცხვი გულშემატკივარი თბილისის სპორტის სასახლეში ხუთი დღის განმავლობაში საინტერესო, დაძაბული ბრძოლის მოწმე იყო. ბევრი რამ კარგი უჩვენეს სპორტსმენებმა მაყურებლებს — ბრწყინვალე ტექნიკა, ახალ-ახალი ტაქტიკური ვარიანტები, ბურთის გადაწოდების, კარის აღებისა და კარის დაცვის ვირტუოზული ხელოვნება... ერთი სიტყვით, ეს იყო ხელბურთის ნამდვილი დღესასწაული. თბილისში საახპარეზოდ მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი გუნდი ჩამოვიდა. აქ იყვნენ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი — რუმინეთის ნაკრები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — იუგოსლავიის ეროვნული გუნდი, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტი — პოლონეთის ნაკრები, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — სსრ კავშირის ნაკრები. მათს გვერდით ძალას ცდიდნენ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდული და საქართველოს ნაკრები გუნდები.

... IX ტრადიციული ტურნირის მეოთხე „სამუშაო" დღე. პოლონეთი — სსრ კავშირი (ახალგაზრდული). პოლონელები II ადგილისათვის იბრძოდნენ: პირველი უკვე მოპოვებული ჰქონდა სსრ კავშირის ნაკრებს, ვინაიდან მისი გამარჯვება საქართველოს გუნდთან ეჭვს არ იწვევდა. თუნდაც საბჭოთა გუნდს ბოლო მატჩი წაეგო, ხოლო პოლონელებს ორივე დარჩენილი შეხვედრა მოეგოთ, მიუხედავად ქულათა თანაბარი რაოდენობისა, პირველობა სსრ კავშირის ნაკრებს რჩებოდა ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით. სწორედ ამიტომ ვვარაუდობდით, რომ პოლონელები ყოველ ღონეს იხმარდნენ მატჩის მოსაგებად. მათ შეასრულეს ამოცანა, თუმცა პირველ ტაიმში მძიმე ბრძოლა გადახდათ და მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოსტაცეს მეტოქეს 2 ქულა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების მეკარე ს. კოჩერგინმა კარში ნატყორცნი ბურთების 60,6 პროცენტი მოიგერია.

სსრ კავშირის პირველ ნაკრებს საბოლოო გამარჯვებისთვის მასპინძელი გუნდი უნდა დაემარცხებინა და მან მიაღწია კიდეც მიზანს. საბჭოთა ნაკრები ამ ტურნირისთვის კარგად მოემზადა. გუნდში მაღალ დონეზე დგას სათამაშო დისციპლინა. თითოეულმა მოთამაშემ, თითოეულმა რგოლმა იცის თავისი ადგილი, ფუნქციები. ძლიერია თავდასხმა მაქსიმოვისა და ჩერნიშოვის თაგკაცობით.

საქართველოს ხელბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დაცვაში კარგად ითამაშეს, დროულად გადიოდნენ იერიშზე მყოფი თავდამსხმელების დასახვედრად, დროულად ცვლიდნენ ხაზის მოთამაშეებს და ერთმანეთსაც ეხმარებოდნენ, როცა საჭირო იყო. ამას დაემატა ისიც, რომ თითოეულ მოთამაშეს კარგად აქვს შესწავლილი სსრ კავშირის ნაკრების წევრთა ყოველი მოძრაობა. სწორედ ამიტომ გაუჭირდათ ნაკრების წევრებს თავდასხმაში თამაში. მაგრამ ჩვენმა გუნდმა ვერაფერი გააწყო პირველი შეტევის წინააღმდეგ. ტანმორჩილი ი. კიდიაევი ბურთს ბურთზე აგდებდა მასპინძელთა კარში.

საინტერესო იყო „გიგანტების" — ანპილოგოვისა და ჩერნიშოვის ორთაბრძოლა. ის ფაქტი, რომ ჩერნიშოვი ორ გოლს დასჯერდა, დაცვაში ანპილოგოვის კარგ თამაშზე მეტყველებს.

იუგოსლავია — რუმინეთი. ამ შეხვედრაშიც, ისევე როგორც წინა ორ მატჩში, უნდა გარკვეულიყო სამეულის წევრთა ვინაობა. ოლიმპიურ ჩემპიონს 3 ტურის შემდეგ ამდენივე ქულა ჰქონდა და უკანდასახევი გზა აღარსად იყო, ხოლო რუმინელები, ისევე როგორც პოლონელები, II ადგილს უმიზნებდნენ.

მატჩი დაზვერვის გარეშე დაიწყო. თავიდან რუმინელები დაწინაურდნენ (1:0, 2:1, 3:1, 3:2), ხოლო უკვე მე-15 წუთზე იუგოსლავიელები იყვნენ წინ. თითქმის ნახევარი ტაიმი და მხოლოდ 7 ბურთი! ამ მონაკვეთში, როგორც საერთოდ მთელ მატჩში, ორივე გუნდმა საუცხოოდ ითამაშა დაცვაში.

II ადგილისთვის იუგოსლავიისა და პოლონეთის გუნდები იბრძოდნენ. მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა. ანგარიში მე-5 წუთზე პოლონელებმა გახსნეს და პირველ ტაიმში ორქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს. შესვენების შემდეგ იუგოსლავიელებმა შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა და რუმინელი სპორტსმენების შეხვედრას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ორივე გუნდმა მაინც გამოიდო თავი და ლამაზად ითამაშა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბრწყინვალე თამაში მეკარე იშჩენკოსი, რომელმაც არაერთი უძნელესი ბურთი მოიგერია.

ს უ რ ა თ ზ ე: გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზის მფლობელი — სსრ კავშირის ნაკრები გუნდი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ყველაფერი ნათელი იყო. რჩებოდა მხოლოდ ერთი კითხვა: ვის შეხვდებოდა ბოლო ადგილი. სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს ამ დროისთვის 1 ქულა ჰქონდა, მასპინძლებს — არც ერთი.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ითამაშეს მეკარე კომახიძემ და ანპილოგოვმა. პირველმა რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია, ხოლო მეორემ სამი ულამაზესი გოლი გაიტანა შორიდან. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა პირველი ტაიმი, მასპინძლებს შეტევაში რომ არ ეჩქარათ და რამდენიმე გადაცემა არ დაეკარგათ. მეორე ტაიმში ჩვენებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და ანგარიში რვაჯერ (!) გაათანაბრეს, მაგრამ დაწინაურებას ვერა და ვერ ახერხებდნენ. კარგად ითამაშეს დვალიშვილმა, ანპილოგოვმა, დოლიძემ... ძალიან ძნელია ამ დრამატული მატჩის ყველა საინტერესო ეპიზოდის აღწერა. ჩვენც ამას არ შევეცდებით, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, საბოლოოდ შეძლო სასურველი 2 ქულის მოპოვება და V ადგილზე დამკვიდრდა.

მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, ანგარიშში უპირატესობას კი ხან ერთი გუნდი ფლობდა, ხან მეორე. აი, ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ჩვენი გუნდის კაპიტანს გ. ბერიაშვილს ნერვებმა უმტყუნა. მან უხეშად ითამაშა და არასპორტული საქციელისთვის 5 წუთით გააძევეს მოედნიდან. ყველასთვის ნათელია, რა ძნელია არასრული შემადგენლობით თამაში ასეთ დროს. არა, კაპიტანს ეს არ შეშვენის. მან გუნდს ცუდი სამსახური გაუწია.

... დაწესებული იყო საგანგებო პრიზები. მწვრთნელთა სკოლისა — „საუკეთესო ბომბარდირს" — გადაეცა პოლონელ ი. კლემპელს, რომელმაც 42 გოლი გაიტანა (მეორე იყო სსრ კავშირის ნაკრების წარმომადგენელი ვ. მაქსიმოვი — 40, მესამე — საქართველოს გუნდის წევრი ა. ანპილოგოვი — 32), სამხატვრო აკადემიისა — „საუკეთესო მეკარეს", საბჭოთა ნაკრების კარის დარაჯს მ. იშჩენკოს ხვდა.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.
დ. ჟელიძე.

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	5	5	0	0	119—89	10
იუგოსლავია	5	3	1	1	130—115	7
პოლონეთი	5	3	0	2	121—110	6
რუმინეთი	5	2	0	3	115—123	4
საქართველო	5	1	0	4	111—149	2
სსრ კავ. (ახ.)	5	0	1	4	111—121	1

• • •

ლიდერობს გულკო

სსრ კავშირის ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) ერთგვარი სენსაციაა ოსტატ ბ. გულკოს (მოსკოვი) ერთპიროვნული ლიდერობა. 6 ტურის შემდეგ მას 5 ქულა აქვს და საქვეყნოდ ცნობილ ცხრა დიდოსტატს უსწრებს. უახლოესი მეტოქე ტ. პეტროსიანი (მოსკოვი) გულკოს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ეს მოხდა **VI** ტურში და გადადებული პარტიების დამთავრებისას. ტურის დღეს გულკომ ი. დორფმანი (ჟიტომირი) დაამარცხა, ხოლო ლ. ალბურტი (ოდესა) გადადებულ პარტიაში მას დანებდა თამაშის განუახლებლად.

VI ტურში დამარცხდა ერთ-ერთი ლიდერი ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი). მან ო. რომანიშინთან (ლვოვი) წააგო. ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ბელიავსკი (ლვოვი) — ე. გელერი (მოსკოვი), ვ. დორომკევიჩი (გროზნო) — ს. ფურმანი (ლენინგრადი) და მ. ტალი (რიგა) — პეტროსიანი.

გუშინწინ, გადადებული პარტიების დამთავრებისას, გელერმა და პეტროსიანმა 2-2 ქულა შეიძინეს. პირველს დანებდნენ ალბურტი და ფურმანი, მეორეს — დორფმანი და ი. კლოვანი (რიგა).

დორფმანმა მოუგო მ. დვორეცკის (მოსკოვი). ალბურტი დაუზავდა კლოვანსა და დორომკევიჩს.

VI ტურში გამოტოვებული ი. ბალაშოვ (მოსკოვი) — ბელიავსკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, ხოლო რ. ვაგანიან (ერევანი) — დ. ბრონშტეინის (მოსკოვი) დაუმთავრებელ პარტიაში ერევნელ დიდოსტატს ზედმეტი მხედარი აქვს.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან რომანიშინი — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, გელერი, პოლუგაევსკი — 3,5-3,5.

2-2 ქულით

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გასულ შაბათს შედგა ქალთა **VIII** საერთაშორისო ტურნირის **III** ტური.

მ. ჩიბურდანიძემ (შავებით) ც. კობაიძესთან შეხვედრაში ნაადრევად განახორციელა ცენტრალური პაიკის წინსვლა და ბოლოს და ბოლოს დაკარგა იგი. შემდეგ მან წააგო ფიგურა და პარტიაც.

ც. კახაბრიშვილმა ა. პიხაილიჩთან (იუგოსლავია) გრიუნფელდის დაცვიდან თანაბარი პოზიცია მიიღო, მაგრამ იუგოსლაველმა ოსტატმა მძიმე ფიგურებით შეტევა განავითარა და გაიმარჯვა.

ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატების მ. პოლანოვას (ჩეხოსლოვაკია) და მ. წერეთლის შეხვედრაში გაიმარჯვა ქართველმა მოჭადრაკემ.

სამი პარტია გადაიდო. ნ. გურიელს რ. რეიხერთან (რუმინეთი) ორი ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შანსი აქვს. ა. ახშარუმოვა (მოსკოვი) — ა. მიხელის (გდრ) შეხვედრაში მოსკოველმა მოჭადრაკემ არ მიიღო შემოთავაზებული ყაიმი. მას მიაჩნია, რომ პარტია უკეთეს პოზიციაში აქვს გადადებული. თანაბარ მდგომარეობაში შეწყდა ე. კარაკაშ (უნგრეთი) — თ. ხუგაშვილის შეხვედრა. თავისუფალი იყო ნ. იოსელიანი.

გუშინწინ, გადადებული პარტიების დამთავრებისას გურიელმა საუცხოოდ გამოიყენა ხუგაშვილის უზუსტო თამაში და ყაიმს მიაღწია. იოსელიანმა მოუგო რეიხერს, კახაბრიშვილმა — პოლანოვას, მიხელმა — კობაიძესა და გურიელს. კარაკაშ — წერეთლის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ახშარუმოვამ მოუგო პიხაილიჩს I ტურიდან გამოტოვებული პარტია. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ ც. კობაიძე, ც. კახაბრიშვილი და ა. მიხელი — 2-2 ქულა.

ლ. წეროძე,
ტურნირის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

მსოფლიო ჩემპიონთა ფრე

კიევში ხელბურთელ ქალთა VI მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფინალური შეჯიბრების პირველივე მატჩი გუშინწინ უჩვეულო შედეგით დამთავრდა: მსოფლიო ჩემპიონებმა იუგოსლაველებმა ფრედ ითამაშეს შეჯიბრების აუტსაიდერთან — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 13:13 (7:4).

სსრ კავშირის ნაკრებმა ძნელ ბრძოლაში დაამარცხა რუმინეთის ძლიერი გუნდი — 17:16 (13:8).

დღეს ბოლო მატჩში გდრ-ის სპორტსმენებმა უნგრელებს სძლიეს — 10:9 (6:6).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 დეკემბრისთვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	1	1	0	24—21	3
სსრ კავშირი	1	1	0	27—26	3
გდრ	1	1	0	20—19	3
რუმინეთი	1	0	1	36—23	2
ჩეხოსლოვაკია	0	1	1	19—33	1
უნგრეთი	0	0	2	17—21	0

ვილნიუსში, სადაც VII-XII ადგილები განაწილდება, იაპონელებმა დაამარცხეს აშშ-ს წარმომადგენლები — 17:10 (6:2), ხოლო პოლონელებმა — ნორვეგიელები — 14:11 (9:5).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. 9 დეკემბერი. „კალევი" (ტარტუ) — ასკ (რიგა). დასაწყისი 17 ს. „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — ცსკა. 18 ს. 30 წთ. „სტროიტელი" (კიევი) — „დინამო" (თბილისი). 20 ს.

თავისუფალი ჭიდაობა. „ლოკომოტივის" დარბაზი. 9-10 დეკემბერი. პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 12 და 18 ს.

ИНДЕКС 864[illegible] საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14272